ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 60261133**

თარიღი:**23/04/2026**

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად დახურული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების, ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის N4 დადგენილების, „ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური პოზიციების განსაზღვრის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 22 აპრილის ბრძანება N ბ60.60261128-ისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერის დავალების (რეგ.N 60-60261048; 14.04.2026წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს დახურული კონკურსი 2026 წლის 23 აპრილს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N 1).

3. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი